

სააღრიცხვო პოლიტიკა

შპს “რ.გ” 206139962

1. სააღრიცხვო პოლიტიკა ძალაშია 2021 წ-ის 1 იანვრიდან.

1. ზოგადი ინფორმაცია

შ.პ.ს. „რ.გ.“ ს/კ 206139962 რეგისტრირებულია საქართველოში 31/10/2003 წლიდან. საზოგადოების დამფუძნებელია გუგული ორჯონიკიძე (პ/ნ 01030016669), 100% წილის მფლობელი. წარმომადგენლობითი უფლებამოსილება: დირექტორი - გუგული ორჯონიკიძე (პ/ნ 01030016669), კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისის, ისანი-სამგორის რაიონი, ჯავახეთის ქ., №69. საქმიანობის ძირითადი ადგილი არის საქართველო. კომპანია ეწევა საცალო ვაჭრობას ელექტრული საყოფაცხოვრებო ხელსაწყოებით სპეციალიზებულ მაღაზიებში.

2. სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე სააღრიცხვო პოლიტიკა მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

3. შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში შეფასების ვალუტად ორგანიზაცია იყენებს ქართულ ლარს. საწარმო ანგარიშგებაში იყენებს კლასიფიკაციას ხარჯების ფუნქციის მიხედვით. კომპანიის რწმენით, ეს მეთოდი სააღრიცხვო პოლიტიკის მკითხველებისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით. სააღრიცხვო პოლიტიკა მომზადებულია იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ საზოგადოება წარმოადგენს ფუნქციონირებად ორგანიზაციას და ახლო მომავალში არ იგეგმება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია. აღნიშნულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სამართლიანად არის წარდგენილი ინფორმაცია ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის, საქმიანობის ფინანსური შედეგების და ფულადი სახსრების ნაკადების შესახებ. პოლიტიკის

მომზადების დროს ასევე გამოყენებულია ბუღალტრული ანგარიშგების მეთოდოლოგიით და ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციით განსაზღვრული და დამტკიცებული ანგარიშთა გეგმა.

4. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებების აღრიცხვა ხორციელდება თვითღირებულებიდან დარიცხული ცვეთის დაქვეითვით. ცვეთის გამოთვლა წარმოებს წრფივი მეთოდით. სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგნაირად განისაზღვრება:

1. ოფისის აღჭურვილობა - 10 წელი.
2. ავეჯი და სხვა ინვენტარი - 10 წელი.
3. იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა - 15%
4. საც/ფართი - 5%
5. სასაწყობო ფართი - 3%
6. კომერციული ფართი - 2%

5. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით. თუ სასაქონლო-მატერიალური მარაგი გაუფასურებულია, საბალანსო ღირებულება მცირდება წმინდა სარეალიზაციო ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში და ზარალში.

6. შემოსავლები და ხარჯები

შემოსავლების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. შემოსულობები განიხილება იმ პერიოდის შემოსავლად, რომელ პერიოდშიც იქნა გამომუშავებული, მიუხედავად მისი სანაცვლო ფულადი სახსრებისა, ან სხვა ეკონომიური კომპენსაციის ფაქტიურად მიღების მომენტისა. შემოსავლები აღირიცხება და ანგარიშგებაში აისახება წმინდა ღირებულებით. ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. დანახარჯები განიხილება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც იგი წარმოიშვა და უზრუნველყო ეკონომიური სარგებლის მიღება, მიუხედავად ხარჯების ფაქტიურად დაფარვის მომენტისა; შემოსავლები აღირიცხება და ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება მისი წყაროების მიხედვით; ხარჯები აღირიცხება და ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით.

7. მოგების გადასახადი

საზოგადეოება მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება. კომპანია საკუთარ სააღრიცხვო პოლიტიკაში არ აღიარებს პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულებას, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას მომავალ პერიოდებში მოგების განაწილების დროს.

8. საგადასახადო ვალდებულებები

გადასახადების გაანგარიშება და გადახდა ხორციელდება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით, და ისახება ანგარიშგებაში საგადასახადო კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად.

9. ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლისა ან/და მომსახურებების რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა საქონელი და/ან მომსახურება. კერძოდ მყიდველისთვის ზედნადების ან/და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერისთანავე.

10. იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად. გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგება-ზარალში საიჯარო პერიოდის განმავლობაში.

11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია ხორციელდება საკრედიტო ან/და ნაღდი პირობებით, რომლებიც ორგანიზაციის ბალანსზე აღირიცხება და წარმოდგენილია დებიტორული დავალიანების, ფულადი სახსრების და მისი ექვივალენტების, სახით. პროდუქტის თავდაპირველი შეფასება ხდება რეალურ ღირებულებას დამატებული საოპერაციო დანახარჯები. ორგანიზაცია ფინანსურ ინსტრუმენტებს ბალანსში ასახავს მაშინ, როდესაც ორგანიზაცია გახდება ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებული გარიგების მონაწილე.

12. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო ან/და ნაღდი პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში (ასეთი შემთხვევის არსებობის შემთხვევაში), საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა არასაოპერაციო შემოსავალში ან არასაოპერაციო სხვა ხარჯებში

13. დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

ხელფასის დარიცხვა ხდება ხელშეკრულებში გათვალისწინებული თანხის შესაბამისად, საქართველოში მოქმედი საგადასახადო კოდექსის შესაბამისად.

14. ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიას ფულადი სახსრების მოძრაობა უფიქსირდება როგორც საბანკო ანგარიშებზე, ასევე ნაღდი ფულის შემოსულობებითაც . კომპანია ყველა ვალდებულების დაფარვას აწარმოებს უნაღდო ანგარიშსწორებით ან/და ნაღდი ანგარიშსწორებით.

15. სასესხო ვალდებულებები

ბანკიდან ან სხვა საწარმოდან მიღებული გრძელვადიანი სესხი ვალდებულების სახით აღიარდება დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშო პერიოდის ბოლოს ფასდება მისი საბოლოო ღირებულებით, შემდეგ კი აისახება მოგება-ზარალში.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში/ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

16. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის თანხა განისაზღვრება კომპანიის წესდებით. ცვლილებები (მათ შორის, ცვლილება საწესდებო კაპიტალში, დამფუძნებლებში/მფლობელებში, ა.შ.) კომპანიის წესდებაში უნდა მოხდეს მხოლოდ კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილების საფუძველზე.

მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკა დადასტურებულია შპს „რ.გ“-ს დირექტორის, გუგული ორჯონიკიძის (პ/ნ 01030016669) მიერ, რაც დასტურდება ხელმოწერით.



The image shows a handwritten signature in blue ink on the left. To the right of the signature is a blue circular stamp. The stamp contains the text "გ.ორჯონიკიძე" (G. Orjonikidze) at the top, "R.G." in the center, and "200139962" and "GEORGIA" at the bottom.

2. შპს „რ.გ.“ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები სულ	2 229 760	119 240	116 981
მიწის ნაკვეთები	943 485	943 485	-
შენობა ნაგებობები - კომერციული ფართი	1 289 941	1 161 568	-
ოფისის აღჯურვილობა და სხვა წვრილი ტექნიკა	36380	24027	26111
ავეჯი ოფისის და შოურუმებისთვის	52667	22198	14158
ავტო მანქანა	48019	32302	39891
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	39252	46179	43081
სულ გრძელვადიანი აქტივები	2 409 744	2 229 759	123 244
მიმდინარე აქტივები			
ნაღდი ფულის ნაშთი	9 309	15 198	9 649
ფული საბანკო ანგარიშებზე	292 835	612408	588287
სატერმინალო თანხები	-	1033	1093
დებიტორული მოთხოვნები	160 035	275 194	148 152
სასაქონლო ნაშთები(სარეალიზაციო საქონელი)	1 724 387	1 544 260	1 483 993
სარემონტო მასალები - ძირითადი საშუალების კაპიტალიზაცია	-	70 770	1 844
საწვავის ნაშთი	486	3 085	1 621
ხაზინაში გადახდილი საავანსო თანხები	-		7 613
მომწოდებლისთვის გადახდილი ავანსები	469 474	373 871	-
გადახდილ ავანსსზე გადახდილი მოგების გადასახადი	397	12 867	-
მიღებული ავანსები (ავანსად დაბეგრილი)	88 625	62 064	97 446
სულ აქტივები:	5 155 149	5 200 389	2 622,069
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	5 155 148	5 200 389	2 622 069
გაუნაწილებელი მოგება_ზარალი	499 791	946 155	1 274 232
სულ საკუთარი კაპიტალი	2,973,919	2,852,935	2,359,203

ვალდებულებები	2024	2023	2022
ბანკისგან ნასესხები თანხები	2 029 057	2 075 860	-
გადასახდელი პროცენტები	-	-	95 99
სავაჭრო ვალდებულებები - რეზიდენტ კომპანიებთან	21 187	22 225	5 223
სავაჭრო ვალდებულებები - უცხოელ პარტნიორებთან		111 235	75 567
ავანსად ჩარიცხულ თანხებზე შესასრულებელი ვალდებულებები	75 107	52 647	82633
ვალდებულებები პერსონალის წინაშე	4 080	77	1 193
საგადასახადო ვალდებულებები	51 798	85 408	2 250
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	152 172	271 593	262 866
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	2 029 057	2 075 860	-
სულ ვალდებულებები	2 181 229	2 347 454	262 866

3.შ.პ.ს. „რ.გ“ სრული შემოსავლების ანგარიშგება

	2024	2023	2022
განგრძობითი ოპერაციები			
შემოსავალი რეალიზაციიდან	3 908 028	4 466 408	4 771 187
რეალიზებული პროდუქციის ღირებულება	(1 943 811)	(2 281 539)	(2,836,351)
წმინდა შემოსავალი რეალიზაციიდან:	1 964 217	2 184 869	1 934 836
საქონლის დანაკლისი		-	40 065
საქონლის ინვენტარიზაციით მიღებული შემოსავალი	34 404	4499	-
სხვა შემოსავლები	56	6	130
კურსთაშორის სხვაობით მიღებული შემოსავლები	79 749	155 214	178142
დასაქმებულ პირთა გასამრჯელოები	(669 842)	(652 305)	(230 568))
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	(48 460)	(25 554)	(15 056)
საპროცენტო ხარჯი	(145 142)	(44 332)	(25 156)
იჯარის ხარჯი	(236 013)	(220 480)	(225 007)
ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები	(278 923)	(299 083)	(161 699)
საქონლის დანაკლისი	-	-	(43 025)
საკურსო სხვაობით მიღებული ზარალი	(200 295)	(156 678)	(178 475)
მოგება დაბეგვრამდე	499 751	946 156	1 274 232
სულ საკუთარი კაპიტალი	2,973,919	2 582 970	2 359 203

4. ახსნა განმარტებითი შენიშვნები ძირითადი დაშვებები, შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისთვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

კომპანია ახდენს შეფასებებისა და დაშვებების გადახედვას საწარმოს უწყვეტობის საფუძველზე. სააღრიცხვო შეფასების გადასინჯვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შეფასება იქნა გადახედილი, თუ აღნიშნული ეხება მხოლოდ ამ პერიოდს; ან გადასინჯვისა და მომავალ პერიოდებში, თუ გადახედვა ეხება ორივე, მიმდინარე და მომავალ პერიოდებს.

რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები

მიღებული შემოსავალი	2024	2023	2022
იურიდიულ პირებზე საქონლის გაყიდვით მიღებული შემოსავლები	2 661 542	3 143 916	3 004 668
დაუბეგრავი შემოსავლები (დიპლომატიურ კორპ. გაყიდვები)	757	5 018	4 798
საბაზო გაყიდვებიდან მიღებული შემოსავლები	1 244 356	1 317 395	1 761 720
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	1 373	79	45

სხვა საოპერაციო შემოსავლები

მიღებული შემოსავალი	2024	2023	2022
სხვა - დანაკლისი	-	-	31 718
სხვა - ინვენტარიზაციით მიღებული შემოსავალი	34 404	4 499	8 347

834

სხვა არასაოპერაციო შემოსავალი

არასაოპერაციო ხაჯები	2024	2023	2022
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი - დადებითი საკურსო სახვაობა	79 749	155 215	178 142

რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით.

გაყიდვების თვითღირებულება	2024	2023	2022
გაყიდვების თვითღირებულება	-2281537		-2836353

დასაქმებულ და დაინტერესებულ პირთა გასამრჯელო

კომპანია დაინტერესებულია, რომ მისი დასაქმებული პირები მუშაობდნენ კომფორტულ გარემოში, ქონდეთ მაღალი მოტივაცია, რასაც განაპირობებს როგორც ფიქსირებული ხელფასების ოდენობა, ასევე საბონუსე სისტემა, რაც დასაქმებულ პირებში ამაღლებს საქმისადმი გულისხმიერ დამოკიდებულებას. აღნიშნული კი ზრდის კომპანიის გაყიდვებს.

გარდა ამისა კომპანია გაცემს ქეშბეკებს(რომელიც იბეგრება საგადასახადო კოდექსის მიხედვით) , ფიზიკურ პირებზე , რომლებიც ფინანსური სარგებლის სანაცვლოდ დაკავაზებული არიან მყიდველის მოზიდვით.

დასაქმებულთა ანაზღაურება	2024	2023	2022
დასაქმებულთა ანაზღაურება	-669 842	-652 305	-230568
გაცემული ქეშბეკები და სხვა ფიზიკური პირების მომსახურებები	-70 286	-129 360	-22 509

საოპერაციო ხაჯები

საპროცენტო შემოსავალი / ხარჯი	2024	2023	2022
საპროცენტო ხარჯი	-145 142	-44 332	-25 156
იჯარის ხარჯი	2024	2023	2022
იჯარის ხარჯი	-236 013	-220 480	-225 007
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	2024	2023	2022
საოპერაციო ხარჯები	-278 923	-299 083	-161 699
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:	2024	2023	2022
სხვა არასაოპერაციო ხარჯი უარყოფითი საკურსო სხვაობა	-200 295	-156 678	-178 475

ძირითადი საშუალებები და დარიცხული ცვეთები

კომპანიამ 2023 წელს შეიძინა კომერციული ფართები ქ. ბათუმში და ქ. თბილისში საბანკო სესხის საშუალებით,

მიმდინარე პერიოდში თბილისში შეძენილ ფართზე ჩატარდა სარემონტო სამუშაოები, ხოლო 2024 წელს ბათუმის კომერციულ ფართს ჩაუტარდა კაპიტალური სარემონტო სამუშაოები, რომლის ღირებულებამ შეადგინა 158075,03 ლარი , და აღნიშნული ხარჯების კაპიტალიზაციით გაიზარდა მათი ღირებულება.

ასევე 2024 წელს კომპანიამ შეიძინა ელექტრომობილი NISSAN-ENV200VAN.

ძირითადი საშუალებები	2024	2023	2022
მიწის ნაკვეთები	943 485	943 485	-
შენობა ნაგებობები - კომერციული ფართი ბათუმში და თბილისში	1 289 941	1 161 568	-
ოფისის აღჯურვილობა და სხვა წვრილი ტექნიკა	36380	24027	26111
ავეჯი ოფისის და შოურუმებისთვის	52667	22198	14158
ავტო მანქანა	48019	32302	39891
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	39252	46179	43081
ჯამი	2 409 744	2 229 759	123 244

ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი(დაგროვილი ცვეთა პერიოდის ბოლოს)	2024	2023	2022
შენობა ნაგებობები - კომერციული ფართი ბათუმში და თბილისში	-39 056	-9365	-
ოფისის აღჯურვილობა და სხვა წვრილი ტექნიკა	- 12 878	-9382	-6731
ავეჯი ოფისის და შოურუმებისთვის	- 13 254	-8696	-6891
ავტო მანქანა	- 13 826	-10 036	-6447
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	- 38 892	- 31 965	-23 821
ჯამი	-117 906	-69 444	-43 890

ფულადი ნაკადების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენით, ხდება საწარმოს მიერ ფულადი სახსრებისა და მისი ეკვივალენტების გამომუშავების შესაძლებლობა, დროულობა და საიმედოობა. ასეთი ინფორმაციით საწარმო ახდენს ანალიზს

- შეფასდეს საწარმოს მოკლე და გრძელვადიანი გადახდისუნარიანობა;
- დადგინდეს, შეძლებს თუ არა საწარმო კრედიტებისა და დივიდენდების გადახდას;
- განისაზღვროს საწარმოს მოთხოვნები დამატებით დაფინანსებაზე;
- მოხდეს მომავალი პერიოდის ფულადი ნაკადების პროგნოზირება;
- გაირკვეს წმინდა მოგებასა (ან ზარალსა) და ფულადი სახსრების წმინდა მატებას (ან კლებას) შორის განსხვავების მიზეზი.

საწარმოში შემოდიან —სავაჭრო ამონაგები, დებიტორებიდან შემოსული თანხები,

საწარმოდან გადინება — დამფუძნებელთა გატანა (კაპიტალის შემცირება), ხელფასის გადახდა, მარაგის შესყიდვა, კრედიტორული დავალიანების დაფარვა, შეძენილი გრძელვადიანი აქტივების ღირებულების გადახდა, გადასახადების გადახდა. საავანსო თანხების გადახდა.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	2024	2023	2022
ფულადი სახსრები საღაროში	9 310	15 198	9649
ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშებზე	292 835	612 408	588 287
აინვესტიციო საქმიანობის ფულადი ნაკადები			
ძირითადი საშუალებების შესაძენად და კაპიტალიზაციისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	228 546	2 481 511	-
ჯამი	530 691	3 109 117	597936

კომპანია ახორციელებს პროდუქციის რეალიზაციას , როგორც საცალო ასევე იურიდიულ პირებზე.
 აღნიშნული აღიარდება პერიოდში მოთხოვნად, იმის მიუხედავად მოხდა თუ არა მყიდველის მიერ
 დავალიანების დაფარვა.ასევე კომპანიას აქვს მიღებული ავანსები, რომლის აღიარება და დაბეგვრა ხდება
 საანგარიშო პერიოდში. სატერმინალო თანხები ძირითადად აკუმულირდება საცალო გაყიდვებზე, ასევე
 ხდება დებიტორების იდენტიფიცირებაც.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2024	2023	2022
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	161 318	275 194	148 152
სხვა სავაჭრო მოთხოვნები მიღებული ავანსები	88 625	62064	97447
ჯამი	249 943	337 258	245 599

კომპანია ახორციელებს საავანსო გადახდებს პარტნიორ მომწოდებლებთანაც, ეს კონკრეტული ითვალისწინებს
 საქონლის წინასაწ შეკვეთას და მოწოდების დროულ განსაზღვრას. აღნიშნული ოპერაციები არღმავებს სამომავლო
 პარტნიორულ ურთიერთობებს, იძლევა გარანტიებს რომ მსგავსი პროდუქცია ნაკლებად იქნება შემოტანილი სხვა
 რეზიდენტი კომპანიების მიერ.ან/და თუ კი მსგავსი პროდუქციის შემოტანა მოხდა, გათვალისწინებული იქნება
 ის რომ ჩვენი ფასები იყოს უკონკურენტო.

სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	2024	2023	2022
გაცემული ავანსები- მომწოდებელზე გადახდილი საავანსო თანხები	469 474	306 812	-
გადახდილი დასაბრუნებელი მოგების გადასახადი	397	12867	-
ბიუჯეტში გადახდილი საავანსო თანხები	-	-	7613
ჯამი	469 871	319 679	7 613

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული მოძრაობა მკაცრად აღირიცხება. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ცვლილებები დგინდება ინვენტარიზაციათაშორისი სხვაობით. რაც შეეხება გასაყიდად განკუთვნილ საქონელს, ძირითადად ბაზარზე წარმოდგენილი ჩვენს მიერ იპორტირებული საქონელი. ადგილობრივი შეძენები ჩვენს მიერ გაყიდული საქონლის 5-10 პროცენტს შეადგენს მხოლოდ.

მარაგები	2024	2023	2022
სხვა სასაქონლო მარაგები -გასაყიდად განკუთვნილი სასაქონლო-მატერიალური მარაგები	1 724 873	1 544 035	1 483 832
სარემონტო მასალები, კაპიტალიზაციისთვის შეძენილი	16 199	70 770	1844
სხვა სასაქონლო მარაგები(საწვავი)	486	3085	1621
ჯამი	1 741 558	1 617 890	1 487 297

ვალდებულებები

კომპანიის სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს მოწოდებული საქონლის ან მომსახურებისათვის გადახდის ვალდებულებას, რომელზეც მიღებულია ანგარიშ-ფაქტურა ან ოფიციალურად შეთანხმებულია მომწოდებელთან; დარიცხვები წარმოადგენს ვალდებულებებს მიღებული საქონლის ან გაწეული მომსახურების ანაზღაურებაზე, რომლებიც არ არის დაფარული, ანგარიშ-ფაქტურებით გაფორმებული ან მომწოდებელთან ოფიციალურად შეთანხმებული დაქირავებულ პირთა წინაშე ვალდებულებების ჩათვლით მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ აუცილებელია დარიცხვების ვადების ან ოდენობის შეფასება, როგორც წესი, ანარიცხებთან შედარებით, აქ განუსაზღვრელობა გაცილებით ნაკლებია. კომპანიას ასევე შესაძლებელია საბურალტრო ნაშტებში უფიქსირდებოდეს საბიუჯეტო დავალიანება, თუმცა აღსანიშნავია რომ დავალიანებები ანგარიშდება საანგარიშო პერიოდშივე, რაც მომდევნო თვეშია გადასახდელი. შესაბამისად აღნიშნული დავალიანებები კომპანიას ყოვეთვის გადახდილი აქვს კანონით დადგენილ ვადებში. რაც შეეხება საპროცენტო ვალდებულებებს, წარმოდგენილი თანხები

დარიცხული იყო დამფუძნებლისგან აღებულ სესხზე, რომელიც სრულად იქნა გასტუმრებული. რაც შეეხება მიღებულ ავანსებს, კომპანია არასდროს არღვევს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებს, და დროულად ხდება მყიდველისთვის პროდუქტის მიწოდება.

ვალდებულებები	2024	2023	2022
საიჯარო ვალდებულებები	2279	2279	1765
კრედიტორული დავალიანება		183 378	161 659
მიღებული ავანსები		52 647	82633
ერთიანი სახაზინო კოდი		81579	2250
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები ბანკი	2 029 057	2 075 860	-
რძელვადიანი ნასესხები სახსრები დამფუძნებლისგან	-	-	-
დარიცხული გადასახდელი პროცენტები	-	-	95999
სულ ვალდებულებები	2,181,229	2,347,454	262,866

კაპიტალის ცვლილებები და სულ საკუთარი კაპიტალი

საკუთარი კაპიტალი	2024	2023	2022
განაწილებული დივიდენდი	378,767	452 508	-
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	2,973,919	2,852,935	2,359,203
ჯამი	3007796,95		2528969,47

სარჩევი:

1. საადრიცხო პოლიტიკა
2. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
3. სრული შემოსავლების ანგარიშგება
4. ახსნა განმარტებითი შენიშვნები ძირითადი დაშვებები , შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები



The image shows a handwritten signature in blue ink on the left. To the right of the signature is a circular official stamp. The stamp contains the text 'გ.ორჯონიკიძე' (G. Orjonikidze) at the top, 'R.G.' in the center, and '200120002' and 'GEORGIA' at the bottom.